საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია
2020-2026

[ინსტიტუციური გარდაქმნისკენ მიმართული ძლიერი სამეცნიერო კვლევა]

დამტკიცებულია
რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის №971 ბრძანებით

თბილისი
2020

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ინსტიტუციონალურ დონეზე ჩატარებული კვლევების გაღრმავება, რაც დადებითად აისახება არა მხოლოდ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს, არამედ ზოგადად, საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. მთავარ წინაპირობას იმისათვის, რომ სეუ გახდეს ქვეყანაში ერთ-ერთი მოწინავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, წარმოადგენს კვლევითი საქმიანობის გაღრმავება, სტრატეგიული გაძლიერება და გამრავალფეროვნება. სეუ-მ ეფექტურად უნდა განახორციელოს ტრანსფორმაცია „სასწავლო უნივერსიტეტიდან“ „უნივერსიტეტისკენ“, რაც წარმოადგენს საინტერესო პროცესის განუყოფელ ნაწილს და ითვალისწინებს ეტაპობრივ, ინსტიტუციურ გაძლიერებას გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული გარდაქმნისა და კვლევითი მიმართულების გაძლიერების მისაღწევად აუცილებელია, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ დაეყრდნოს მოცემულ სტრატეგიულ მიზნებს:

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის სათანადო ფინანსური მხარდაჭერა
2. სამეცნიერო კვლევის პროდუქტიულობის გაზრდა
3. აქტიური სამეცნიერო-კვლევითი კლიმატის შექმნა
4. აკადემიური პორტფოლიოს გაფართოება და სადოქტორო პროგრამების დამატება

საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა სეუ-მ ძირითადად მხარი უნდა დაუჭიროს ინტერდისციპლინარული (inter-disciplinary), მულტიდისციპლინარული (multi-disciplinary) და ტრანსდისციპლინარული (trans-disciplinary) კვლევების ჩატარებას, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნულ და საერთაშორისო გამოწვევებთან გამკლავებაში. სეუ–ს კვლევა მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს სხვადასხვა სფეროებში, საჯარო პოლიტიკის, სამართლის, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ან/და გარემოსდაცვითი შედეგებით. გარდა ამისა, სეუ გეგმავს კვლევის კომერციალიზაციას, რაც გამოიხატება საკონსულტაციო მომსახურებაში როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის სუბიექტებისთვის, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ მიზნად ისახავს, კვლევითი საქმიანობა ხელმისაწვდომი გახადოს ფართო საზოგადოებისთვის, შესრულებული

კვლევის შედეგები დაუკავშიროს ქართული საზოგადოების აქტუალურ პრობლემებსა და ასევე მსოფლიოში არსებულ რეალურ გამოწვევებს. სეუ–ს კვლევის პრიორიტეტები ითვალისწინებს, გახდეს სხვადასხვა ორგანიზაციის წევრი ან/და პარტნიორი.

მნიშვნელოვანია, რომ მომდევნო წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ–ს კვლევითი საქმიანობა უნდა გახდეს მთლიანი ინსტიტუციური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. აღნიშნულმა, უნდა უნდა შექმნას ძლიერი ურთიერთკავშირი ადამიანური, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების სფეროში. ამ საქმიანობის მიზანია სეუ-ს კვლევების ოპტიმალურად გამოყენება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. სტრატეგიულად შემუშავებული კვლევითი საქმიანობის გაფართოება ითვალისწინებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართვას საერთაშორისო განზომილებაში - საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და მობილობის სქემებში მათ აქტიურ მონაწილეობას.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ში განვითარდება ინსტიტუციური კვლევების ფონდი (IRF), რომლის საშუალებითაც სეუ თავისი კვლევითი საქმიანობისთვის მიიღებს სტაბილურ ფინანსურ მხარდაჭერას. ეს ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს კვლევითი საქმიანობის მომზადებას და ასევე, ახალი, მაღალი ხარისხის აკადემიური პერსონალის მოზიდვას. ამგვარად, კვლევის შედეგების რაოდენობისა და ხარისხის ზრდის ხარჯზე სეუ კიდევ უფრო წაახალისებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას. ამავდროულად, პერსონალის შერჩევის პროცესის ფარგლებში, სეუ უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს კვლევით მიღწევებსა და პოტენციალს.

დასახული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებს შემდეგ, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ დაიწყებს „კვლევითი“ უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვების პროცესს. შესაბამისად, ის დაინტერესებულ პირებსა და მხარეებს შესთავაზებს სადოქტორო პროგრამებს სპეციალურად შერჩეულ დარგებში, რომელიც გაითვალისწინებს უნივერსიტეტის შესაძლებლობების სრულ თანხვედრას სტრატეგიულ პორტფოლიოსთან. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ–ს სადოქტორო პროგრამები შექმნის კურსდამთავრებულთა ახალ თაობას, რომლებიც შეძლებენ აქტუალური სამეცნიერო საკითხების კვლევას, შექმნიან ახალ ცოდნას და დადებენ ისეთ სამეცნიერო-კვლევით შედეგებს, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგრადი განვითარებისთვის.

ზემოთ აღწერილ საფუძველზე დაყრდნობით, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ შექმნის და მუდმივად გააუმჯობესებს ინსტიტუციური კვლევის

სისტემას. პრაქტიკაში მაღალი სამეცნიერო კულტურის დანერგვითა და თანმიმდევრული პროცესით გაიზრდება უნივერსიტეტის კვლევის პროდუქტიულობა, რითაც სეუ, თავის მხრივ, მიზნად ისახავს, ემსახუროს სამეცნიერო წრეებს, ეკონომიკასა და ზოგადად საზოგადოებას.

კვლევის სტრატეგიული პრიორიტეტი 1.
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის სათანადო ფინანსური მხარდაჭერა

იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს კვლევითი ინფრასტრუქტურა და დაფინანსების მექანიზმები, აუცილებელია კვლევისა და სწავლების არსებულ სფეროებში ხელშეწყობის უზრუნველყოფა. ასევე აუცილებელია პროფესორების, მკვლევარებისა და სტუდენტებისთვის კვლევით საქმიანობაში, პროექტების მომზადებასა და მართვაში მხარდაჭერის გაწევა. ამ მიზნით, სეუ-მ ჩამოაყალიბა ინსტიტუციური კვლევის ფონდი (IRF).

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ–ს მიზანია, უზრუნველყოს შესაბამისი ბიუჯეტი კვლევითი შიდა გრანტებისთვის, გაზარდოს გარედან დაფინანსებული სამეცნიერო პროექტების რაოდენობა და ხარისხი, აგრეთვე, ხელი შეუწყოს სეუ–ს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და საქმიანობის გაუმჯობესებას, შეეცადოს, აქტიურად ითანამშრომლოს Horizon Europe–ისა და სხვა პრესტიჟული პროგრამების ფარგლებში დაფინანსებულ საერთაშორისო კვლევებსა და ინოვაციურ წამოწყებებში.

გარე დაფინანსების მოძიებასთან დაკავშირებით უამრავი გამოწვევა და ამავდროულად, შესაძლებლობა არსებობს. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ გეგმავს, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად უზრუნველყოს საჭირო და დროული ინვესტიციები. სეუ–ს შესაძლებლობები კარგად შეესაბამება აღნიშნულ კვლევის სტრატეგიას. სეუ წარმატებით განავითარებს დაინტერესებული აკადემიური პერსონალის ეფექტურ ადმინისტრაციულ, ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებსა და თანამშრომლობაში მონაწილეობის მისაღებად.

სეუ ხელს შეუწყობს კვლევითი საქმიანობის წახალისებას, კვლევის შედეგების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდას წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობის ზრდას მიაქცევს. შიდა დაფინანსება ხელმისაწვდომი იქნება ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობის

გასაძლიერებლად და ძლიერი პარტნიორობის შესამუშავებლად. შეფასდება სეუ-ში კვლევითი ჯგუფების, მიზნობრივი ცენტრების და კვლევითი ინსტიტუტების შექმნის მიზანშეწონილობა. ხელი შეეწყობა რეგიონალურ და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობას და სეუ–ს მკვლევარების მონაწილეობას კვლევით ქსელებში, რათა შემუშავებულ იქნეს თანამშრომლობითი, გუნდური კვლევები. ამგვარ კვლევით ჯგუფებში მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორში მოღვაწე პრაქტიკოსების მონაწილეობა.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, იღებს ვალდებულებას, თავისი პერსონალი და სტუდენტები უზრუნველყოს ადეკვატური კვლევითი ინფრასტრუქტურით, აღჭურვილობითა და საშუალებებით, გაუადვილოს მათ ბეჭდურ და ელექტრონულ ჟურნალებზე წვდომა. მონაცემებისა და კვლევის ღიაობის ეპოქაში სეუ მხარს უჭერს აკადემიურ პერსონალს, ჰქონდეს წვდომა ელ-ბიბლიოთეკაზე და ამავდროულად, თავისი ნაშრომი განათავსოს სამეცნიერო პლატფორმებზე. ამგვარად, სეუ უზრუნველყოფს ღია კვლევის დღის წესრიგს. ასევე, სეუ–ს მიზანია უზრუნველყოს სტრატეგიული და მიზნობრივი ხასიათის კვლევითი ინვესტიციები, რაც იმის წარმოადგენს საფუძველს, რომ განვითარდეს როგორც მიმზიდველი ადგილი მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალისთვის.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ გეგმავს, შექმნას აკადემიური კადრებისთვის მიმზიდველი გარემო, რომლებიც დაიკავებენ მუდმივ პოზიციას უნივერსიტეტში და მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივ კვლევით პროექტებში. ამასთან, სეუ მხარს დაუჭერს ახალგაზრდა მკვლევარებს, მათ შორის, მენტორობისა და დამოუკიდებელ კვლევაზე მუშაობის კუთხით.

სეუ, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე უნივერსიტეტი შეეცდება, ბაზარზე დაამკვიდროს თავისი ინტელექტუალური საკუთრება და მხარი დაუჭიროს დამწყებ კომპანიებს, ინოვაციურ სტუდენტურ თუ კურსდამთავრებულთა წამოწყებებს. მათ დასახმარებლად სეუ ჩამოაყალიბებს ბიზნეს ლაბორატორიას, როგორც გამოყენებითი კვლევების ინკუბატორს, ასევე, სტარტაპების შემუშავებისა და კვლევის შედეგების კომერციალიზაციის ჰაბს. მართალია ეს უკანასკნელია არ განიხილება, როგორც კლასიკური გაგებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, თუმცა მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკით, ამგვარი საქმიანობა ხელს უწყობს გამოგონებების, ინოვაციური იდეების შექმნას და გენერირებას. აღნიშნული კი ძალიან კარგ საფუძველს უქმნის სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის განვითარებას.

ამავდროულად, სეუ მოამზადებს უნივერსიტეტის მულტიდისციპლინარულ გუნდს იმ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სამართავად, რომლებიც წარმოიშობა კვლევითი საქმიანობიდან, რათა დაიცვას თავისი თანამშრომლების, სტუდენტებისა და თავად უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

ამრიგად, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ მხარს დაუჭერს თავის მკვლევარებს ყველა დონეზე, შესაბამის დარგში კვლევითი გრანტების წარმატებით მოპოვებასა და მართვაში. ასევე, სეუ ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის საგრანტო განაცხადების თანადაფინანსებას და უზრუნველყოფს პროექტის წარდგენისას შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით პროფესიულ მხარდაჭერას.

კვლევის სტრატეგიული პრიორიტეტი 2.
სამეცნიერო კვლევის პროდუქტიულობის გაზრდა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ დარწმუნებულია, რომ საუნივერსიტეტო კვლევის ხარისხი დაფუძნებულია ძირითადად, აკადემიური პერსონალის და გარკვეულწილად, სტუდენტების კვლევისა და ინტელექტუალური შრომის წვლილზე. შესაბამისად, უნივერსიტეტი ახალი კადრების შერჩევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კვლევის მიღწევებსა და პოტენციალს. შემდგომში კი, მათი კვლევითი ინტერესების მხარდაჭერისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით უზრუნველყოფს მათზე მორგებული დახმარებით.

საერთაშორისო დონეზე წარმატების მისაღწევად, სეუ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამეცნიერო ნაშრომების მაღალი ხარისხის ჟურნალებში გამოქვეყნებას და წამყვანი გამომცემლობების მიერ მონოგრაფიების გამოცემას. სეუ გეგმავს საკუთარი სამომავლო კვლევის შედეგებით საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ თანამშრომლობას და მაღალი ციტირების ინდექსის მქონე ჟურნალებში, პერსონალის პუბლიკაციების ინტენსიურად გამოქვეყნებას. სეუ შეეცდება გაზარდოს თანა-პუბლიკაციების რაოდენობა უცხოელ კოლეგებთან, რადგან მიაჩნია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა გაზრდის მის ხილვადობას და ხაზგასმით წარმოაჩენს სეუ–ს კვლევით საქმიანობას. ამ მიზნით, სეუ დაიწყებს საერთაშორისო თანამშრომლობის შექმნასა და სისტემატურ, ინტენსიურ საქმიანობას როგორც ინსტიტუციონალურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე.

კვლევების პროდუქტიულობის შემდგომი განვითარების მიზნით, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ თავის აკადემიურ პერსონალს შესთავაზებს შესაბამის

ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით მათი კვლევითი უნარებისა და შესაძლებლობების გასავითარებლად. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს კვლევის შედეგების გამოქვეყნებას და ამ მიზნით, პროფესორებსა და სტუდენტებს გაუწევს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას.

სეუ წაახალისებს თავის თანამშრომლებს, რეგულარულად წარმოადგინონ საინტერესო და ინოვაციური შემთხვევების შესწავლა და კვლევა, რაც თვალსაჩინოს გახდის, თუ როგორი პოზიტიური წვლილი შეაქვს სეუ–ს კვლევას საზოგადოებაში.

კვლევის სტრატეგიული პრიორიტეტი 3.
აქტიური სამეცნიერო-კვლევითი კლიმატის შექმნა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ მუდმივად ცდილობს, გაზარდოს თავისი ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო რეიტინგი კვლევაში უკეთესი კვლევითი გარემოს შექმნისა და განვითარების გზით, რაც გამოიხატება გამოჩენილი მკვლევარების მოზიდვაში, შენარჩუნებასა და მათ ფინანსურ მხარდაჭერაში.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ–ს საქმიანობა ეფუძნება აკადემიურ კეთილსინდისიერებას და სრულყოფილებისაკენ სწრაფვას. სეუ აღიარებს ნიჭს, ამბიციებს და სურს გააუმჯობესოს აკადემიური პერსონალის კარიერა ყველასთვის მისაღები გარემოს შექმნით, რათა გახდეს პერსონალისთვის შეუცვლელი სამუშაო გარემო კარიერის ყველა ეტაპზე. სეუ განავითარებს კვლევის კულტურას სწავლების ყველა დონეზე. ამ მიზნის განხორციელებაში ასევე წვლილს შეიტანს სადოქტორო პროგრამების დამატება და მეტი აკადემიური თანამდებობის შექმნა. სეუ-ს აქვს ამბიცია, მოიზიდოს ყველაზე ნიჭიერი მკვლევარები, აკადემიური პერსონალი და მუდმივად განავითაროს ისეთი კვლევითი გარემო, რომელშიც ყველას შეეძლება, გამოავლინოს საკუთარი პოტენციალის მაქსიმუმი.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ შექმნის კვლევით ინსტიტუტებს ან/და ცენტრებს, რათა ამით ხელი შეუწყოს მულტიდისციპლინარული მიდგომების დანერგვასა და აკადემიური პერსონალის საქმიანობას ისეთ სფეროებში, რომლებიც სეუ–ს მთავარ ღირებულებებთან და საზოგადოებრივ საჭიროებებთან არის შესაბამისობაში.

სეუ–ს პერსონალს აქვს მუდმივი მხარდაჭერა, რომ ითანამშრომლოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა პარტნიორებთან და კვლევისა და სწავლების თანაარსებობის მიზნით დაამყაროს ახალი სტრატეგიული თანამშრომლობა. სეუ–ს

ადმინისტრაციული მხარდაჭერა იქნება ინტეგრირებული, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და პარტნიორების საჭიროებების სრულყოფილად დაკმაყოფილებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უცხოურ უნივერსიტეტებთან და კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობასა და პარტნიორობას.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ მხარს უჭერს თანამშრომლების პროფესიულ მიზნებს აკადემიური წინსვლის ნაწილში. ეს საქმიანობის სხვა სრულ სპექტრთან ერთად გულისხმობს ინოვაციებისა და კვლევის გამოქვეყნებაში წვლილის შეტანას. სეუ მათ შესთავაზებს როგორც ფინანსურ, ისე არამატერიალურ მხარდაჭერას, რათა პერსონალმა შეძლოს მაღალი ხარისხისა და გავლენის მქონე კვლევის წარმოება. ასევე, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სამეცნიერო კონფერენციებისა და კვლევითი კონკურსების ორგანიზებასა და მასში უნივერსიტეტის პერსონალის აქტიურ მონაწილეობას.

სეუ გამოყოფს კვლევითი მნიშვნელობის თემებს საუნივერსიტეტო ადგილობრივი და რეგიონალური საზოგადოებისთვის, გააფართოვებს საგარეო ურთიერთობებსა და განიხილავს ხანგრძლივი თანამშრომლობის სტრატეგიას. საკუთარი პროფესურის, მკვლევარებისა და სტუდენტებისათვის კარგი გამოცდილების უზრუნველყოფის მიზნით, სეუ ყურადღებას გაამახვილებს ციფრული შესაძლებლობების განვითარებაზე.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ–ს მიზანია, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, გავლენა მოახდინოს ქართული საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებზე, მათ შორის, აკადემიური საქმიანობის მიღმაც. სეუ-ს სურვილია, სტრატეგიული პარტნიორობის ჭრილში გააღრმავოს კვლევითი თანამშრომლობა სამთავრობო, არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. უნივერსიტეტის ღიაობაზე ხაზგასმის მიზნით, სეუ შექმნის და განავითარებს ისეთ პლატფორმებს, სადაც მკვლევარებსა და სტუდენტებს პარტნიორებთან ერთად ინტერაქციის საშუალება მიეცემათ, რისი მეშვეობითაც ისინი მიიღებენ შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას, რომ სამომავლოდ შეძლონ დინამიურ და პასუხისმგებლობით სავსე გარემოში თანამშრომლობა.

კვლევის სტრატეგიული პრიორიტეტი 4.
აკადემიური პორტფოლიოს გაფართოება და სადოქტორო პროგრამების დამატება

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ კვლევითი კომპონენტის გაძლიერების თვალსაზრისით მუდმივად გააუმჯობესებს არსებული სასწავლო პროგრამების ხარისხს. ამასთან, ის სამომავლოდ გეგმავს, დანერგოს უმაღლესი განათლების მესამე დონე და ამ მიზნით, გლობალური ტენდენციების, ადგილობრივი და რეგიონალური ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით გააფართოოს თავისი აკადემიური პორტფელი სადოქტორო პროგრამებზე. ამ თვალსაზრისით, სეუ მიზნად ისახავს სადოქტორო პროგრამების დამატებას და კვლევითი მიმართულების გაძლიერებას მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების მოზიდვით, რომლებიც ეროვნულ ან/და რეგიონალურ დონეზე ჩაერთვებიან ინოვაციების, ახალი ცოდნის შექმნისა და კვლევების პროცესებში და შეძლებენ არსებული ცოდნის ახლებურ გამოყენებას და ახალი ცოდნის შექმნას. ასევე, იგეგმება წახალისების, სტიპენდიების გზით როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან წარჩინებული სტუდენტების მოზიდვა.

სეუ დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს ინოვაციურ სადოქტორო პროგრამის დიზაინს, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული გამოყენებით სამეცნიერო პროექტების შექმნასთან. რაც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს უმაღლეს განათლებასა და კვლევებს შორის სინერგიზმის გაძლიერებას. სადოქტორო საფეხურის ჩამოყალიბებამდე, სეუ ჩაატარებს საკვანძო საკითხების, გლობალური გამოწვევების და ეროვნული საგანმანათლებლო ბაზრის კვლევას.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ გრძელვადიან პერსპექტივაში იმუშავებს იმ ახალი და ინოვაციური სადოქტორო პროგრამის შექმნაზე, რომელიც მის შესაძლებლობებს შეესაბამება. სეუ–ს სტრატეგიული გეგმა მოიცავს, შეიმუშავოს მაღალი ხარისხის კვლევაზე დაფუძნებული სადოქტორო პროგრამა, ერთ-ერთ იმ დარგში, რომელიც წარმოადგენს სეუ–ს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების წამყვან მიმართულებებს.

ახალი სადოქტორო პროგრამები საშუალებას მისცემს ახალგაზრდა მკვლევარებს, შეძლონ თავიანთი კვლევითი ამოცანების ეფექტიანი მართვა. სადოქტორო პროგრამები უზრუნველყოფს დოქტორანტების მუდმივ მხარდაჭერას როგორც უახლესი ცოდნის შეძენის, ისე კვლევის პროცესში. დოქტორანტებს ექნებათ

შესაძლებლობა, ჩაერთონ კვლევაში, მიიღონ გამოცდილება და წვლილი შეიტანონ ახალი ცოდნის შექმნაში.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ დანერგავს კერძო სექტორისა და აკადემიური სამეცნიერო თანამშრომლობის იდეას სადოქტორო პროგრამებზე, რათა დოქტორანტებმა მიიღონ ისეთი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, თავი წარმოაჩინონ აკადემიური და კვლევითი საქმიანობის გარეთაც. სეუ ხედავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მესამე სექტორთან უფრო მჭიდროდ თანამშრომლობის საჭიროებას, და ამ მიზნით, შეეცდება არსებული პარტნიორობის გაძლიერებასა და ახალი პარტნიორობის შემუშავებას. ეს, თავის მხრივ, ემსახურება ინოვაციური და გამოყენებითი კვლევების განხორციელებას, რაც მჭიდრო კავშირშია სადოქტორო პროგრამებთან.

სადოქტორო პროგრამების შექმნა და გაძიერება ასევე მნიშვნელოვან დადებით გავლენას მოახდენს კვლევის პროდუქტიულობაზე, რადგან დოქტორანტობის ყველა კანდიდატს მოეთხოვება, გამოაქვეყნოს თავისი კვლევის შედეგები რეცენზირებად და საერთაშორისოდ რეფერირებად აკადემიურ ჟურნალებში.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარების სამოქმედო გეგმა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალს, კვლევითი იდეების შემუშავებაში და შეუერთდნენ იმ კონკრეტულ, ინტერდისციპლინარულ და მულტიდისციპლინარულ კვლევით საქმიანობას, რომელსაც სეუ გაუწევს ადმინისტრირებას. ეს, თავის მხრივ, მოიცავს ახალი სამეცნიერო პარტნიორობებისა და თანამშრომლობის წამოწყებას, უკვე შექმნილ სამეცნიერო ქსელებთან კავშირის გამყარებასა და გაფართოებას. მათი მეშვეობით შესაძლებელია სამეცნიერო პუბლიკაციების, პერსონალის მობილობისა და გარედან დაფინანსებული პროექტების რაოდენობის გაზრდა.

სეუ აკადემიური პერსონალის მხრიდან მოელის კვლევითი ინიციატივებისა და პროექტების სახით იდეების შეთავაზებას. იმისათვის, რომ სასწავლო უნივერსიტეტიდან კვლევით უნივერსიტეტად გარდაქმნა გახდეს უფრო ინტენსიური პროცესი, აუცილებელია, აკადემიურმა პერსონალმა გაზარდოს საგამომცემლო მიღწევები, ინდივიდუალურად ან გუნდურად უფრო აქტიურად ჩაერთოს კვლევის შედეგების გავრცელებაში. სეუ–ს ადმინისტრაციის პერსონალის აქტიურობა გადამწყვეტი იქნება შესაბამისი ტრენინგებისა და დამხმარე სერვისების დაგეგმვასა და ჩატარებისას, რაც მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური კვლევისა და პუბლიკაციების რაოდენობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ანალოგიურად, ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან სეუ მოელის სხვადასხვა დაფინანსების სქემებში ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის წესების ცოდნის გაუმჯობესებას, რათა მათ შეძლონ აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა და დახმარება ტექნიკური თვალსაზრისით. ასეთი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია სამეცნიერო ნაშრომების მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად. სეუ–ს ადმინისტრაციული პერსონალი ორგანიზებას გაუწევს და შეუფერხებლად განახორციელებს რეკრუტირების ღონისძიებებს, რომლის მიზანია მაღალი დონის აკადემიური პერსონალისა და საუკეთესო დოქტორანტების მოზიდვა, აგრეთვე, მკვლევარების, ლექტორების, სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის მხარდაჭერა.

ორი წლის გარდამავალი პერიოდის შემდეგ, როდესაც მოხდება ყველა გეგმის, პოლიტიკის, ინსტრუმენტის, მექანიზმისა და დამხმარე სერვისის შეფასება და ტესტირება, სეუ მოელის, რომ აკადემიური პერსონალი გამოაქვეყნებს მინიმუმ ერთ რეცენზირებულ კვლევას ყოველწლიურად, დაიწყებს მონაწილეობის მიღებას მინიმუმ ერთ კვლევით პროექტში ყოველწლიურად, იმუშავებს საგრანტო სქემაზე და ითანამშრომლებს სტრატეგიულ პარტნიორებთან.

საქმიანობის ძირითადი ინდიკატორები (KPIs)

უნივერსიტეტის წარმატება შეფასდება KPI- ის ღირებულებების შეფასებით.

KPI 1 – კვლევის დაფინანსება

კვლევის ბიუჯეტის თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტთან თანდათანობით გაიზრდება, 2020 წლის 0.75% -დან 2026 წელს 1.5% -მდე;

KPI 2 – კვლევითი პუბლიკაციების რაოდენობა

სამეცნიერო ნაშრომების საერთო რაოდენობა 2026 წლის ბოლომდე გაიზრდება 75% -ით (საწყისი წელი 2019 – 76 სტატია);

KPI 3 – კვლევითი პუბლიკაციების ხარისხი

იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში კვლევითი ნაშრომების საერთო რაოდენობა 2026 წლის ბოლოსთვის იქნება მინიმუმ 50 (საწყისი წელი 2019 – 10 სტატია);

KPI 4 – კვლევის ინტერნაციონალიზაცია–ერთობლივი პროექტების წინადადებები

მინიმუმ სამი საპროექტო წინადადების წარდგენა Horizon Europe პროექტებში და სასურველია მინიმუმ ერთი წარმატებული განცხადება 2026 წლის ბოლოსთვის.

KPI 5 – კვლევის ინტერნაციონალიზაცია– კვლევის მობილობა

უცხოურ სამეცნიერო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა - მობილობის სქემებში (შემომავალი და გამავალი) მონაწილე აკადემიური პერსონალის წლიური რაოდენობა თანდათანობით ზრდა და 2026 წლისათვის 15-ზე მეტი იქნება.

დამხმარე ღონისძიებები:

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ შემდგომი კვლევის დღის წესრიგს აგრძელებს შემდეგი კონკრეტული საქმიანობის განხორციელებით:

კვლევის დამხმარე აქტივობა 1 – სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (ფორუმის) ორგანიზება და მასპინძლობა, რომელიც გაიმართება ბიანუალურად 2022 წლიდან, მასში მონაწილეობას მიიღებს მინიმუმ 150 ადგილობრივი და უცხოელი მკვლევარი. მას შემდეგ, რაც მოხდება წარდგენილი აბსტრაქტების შეფასება, კონფერენციების მასალები სრულიად იქნება გამოქვეყნებული.

კვლევის დამხმარე აქტივობა 2 – კვლევისა და ინოვაციების შეჯიბრი

კვლევისა და ინოვაციური იდეების კონკურსის ორგანიზება სტუდენტებისთვის და ახალგაზრდა მკვლევარებისთვის - ამოქმედდება 2023 წლიდან და გაიმართება ყოველწლიურად.

კვლევის დამხმარე აქტივობა 3 – კვლევის კომერციალიზაცია

1. ბიზნეს ინკუბატორის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კვლევის შედეგების კომერციალიზაციას 2021 წლის ბოლოსთვის;
2. ხუთი სტარტაპის ან სპინოფის შექმნა 2026 წლის ბოლოსთვის.